

ცვლილებები ძალაშია 04.02.2025-დან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილება-დამატებები:

საბანკო მომსახურების პირობების 19-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 16 და 17 პუნქტები:

„16. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, მრავალჯერადად შეცვალოს ბარათის პროფილი და შეუძლია აირჩიოს ქვემოთ მოცემული ბარათის პროფილის ტიპებიდან:

- 16.1. **თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების დაბლოკვა და CVV2/CVC2 კოდის ფუნქციის გათიშვა** - აღნიშნული ემსახურება კლიენტის დაცვას მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდებიდან მომდინარე რისკებისაგან. ასევე, CVV2/CVC2 კოდი არის დამატებითი დაცვის მექანიზმი ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების დასადასტურებლად;
- 16.2. **თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების დაბლოკვა და CVV2/CVC2 კოდის ფუნქციის ჩართვა** - აღნიშნული ემსახურება კლიენტის დაცვას მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდებიდან მომდინარე რისკებისაგან. ასევე, ვინაიდან, ბარათზე გათიშული იყო სავალდებულო CVV2/CVC2 კოდის ფუნქცია, მისი ჩართვით არ იზღუდება/უქმდება ბარათზე არასანქცირებული ტრანზაქციების განხორციელების შესაძლებლობა;
- 16.3. **თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების დაშვება და CVV2/CVC2 კოდის ფუნქციის გათიშვა** - კლიენტისათვის ცნობილია, რომ მოცემული ფუნქციონალის ჩართვით/გააქტიურებით იზრდება თაღლითობის რისკები. ასევე, CVV2/CVC2 კოდი არის დამატებითი დაცვის მექანიზმი ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების დასადასტურებლად;
- 16.4. **თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების დაშვება და CVV2/CVC2 კოდის ფუნქციის ჩართვა** - კლიენტისათვის ცნობილია, რომ მოცემული ფუნქციონალის ჩართვით/გააქტიურებით იზრდება თაღლითობის რისკები. ასევე, ვინაიდან, ბარათზე გათიშული იყო სავალდებულო CVV2/CVC2 კოდის ფუნქცია, მისი ჩართვით არ იზღუდება/უქმდება ბარათზე არასანქცირებული ტრანზაქციების განხორციელების შესაძლებლობა;
- 16.5. **თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების დაბლოკვა** - აღნიშნული ფუნქციონალის ჩართვით დაიბლოკება გადახდები მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში. კლიენტისათვის ცნობილია, სხვა ყველა ტიპის ტრანზაქცია დაშვებული იქნება ბარათზე;
- 16.6. **ბარათზე ყველა ტიპის შემლუდვის მოხსნა/ყველა ტიპის ტრანზაქციის დაშვება** - კლიენტისათვის ცნობილია, რომ აღნიშნული ფუნქციონალის გააქტიურების შემთხვევაში ბარათზე დაშვებული იქნება ყველა ტიპის ტრანზაქცია და ოპერაცია;
- 16.7. **Fallback ფუნქციის დაშვება** - კლიენტისათვის ცნობილია, რომ, ბარათზე Fallback ფუნქციის დაშვებით დაიშვება პოს-ტერმინალზე ბარათის ნომრის შეყვანის გზით ტრანზაქციის გახორციელების შესაძლებლობა, რომელიც ასევე მოიცავს სავალდებულო CVV2/CVC2 კოდის ფუნქციის გათიშვას. CVV2/CVC2 კოდი არის დამატებითი დაცვის მექანიზმი ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების დასადასტურებლად. Fallback ფუნქციის დაშვებით ბარათის გამოყენება შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში;

16.8. Fallback ფუნქციის გათიშვა - მიუხედავად იმისა, რომ Fallback ფუნქციის დაშვების პერიოდის განმავლობაში ბარათზე გათიშული იყო სავალდებულო CVV2/CVC2 კოდის ფუნქციები, კლიენტისათვის ცნობილია, რომ Fallback ფუნქციის გათიშვით ბარათზე არასანქცირებული ტრანზაქციების განხორციელების შესაძლებლობა არ უქმდება;

16.9. ინტერნეტ შესყიდვების გათიშვა - კლიენტისათვის ცნობილია, რომ ბარათზე ინტერნეტ შესყიდვის შესაძლებლობის გათიშვით ვერ შეძლებს ონლაინ შესყიდვებს. ხოლო სხვა ყველა ტიპის ტრანზაქცია დაშვებული იქნება;“

„17. კლიენტისათვის ცნობილია, რომ: ა) ბანკი არ აგებს პასუხს არასანქცირებული ტრანზაქციების შემთხვევაში თანხის დაბრუნებაზე, ასევე სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან წარმოქმნილ სადავო ტრანზაქციის შემთხვევებზე; ბ) სრულად არის პასუხისმგებელი ინტერნეტში და ასევე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ბარათით განხორციელებულ ყველა ტრანზაქციაზე და მისგან გამომდინარე შედეგებზე და რისკებზე; გ) თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების დაბლოკვა ემსახურება მის დაცვას და გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან; დ) ბანკი უფლებამოსილია კლიენტის თანხმობის გარეშე, დამოუკიდებლად დაამატოს და/ან შეამციროს მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ჩამონათვალი, რომელიც მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში; ე) შეუძლია ნებისმიერ დროს, მრავალჯერადად, საკუთარი რისკის ფარგლებში, გააქტიუროს გადახდები დაბლოკილ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში და/ან ხელახლა დაბლოკოს გააქტიურებული გადახდები.“